პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 41 (1211) | კვირა, 6 აპრილი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი | ფასი 30 კაპ.



მოსკოვი. თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის აუზში ლენინგრადელმა მოსწავლემ ლ. ვიქტოროვამ 100 მეტრი ზურგზე გაცურა სარეკორდო დროში.

• • •

სურათზე: ლარისა ვიქტოროვა.

ფოტო ა. კონკოვისა.

# საპასუხისმგებლო ამოცანა

ჩვენ ყველას გვახსოვს ქართული ფეხბურთის ბურჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ბორის პაიჭაძე. როდესაც მოყვარულები მისი ვირტუოზული, შემოქმედებით თამაშზე ჩამოაგდებენ ლაპარაკს, აუცილებლად დასძენენ: მერე რა დისციპლინიანი იყო მოედანზე, გინახავთ როდის მე მისი უხეშობა? მართლაც, მაღალი ტექნიკა და დისციპლინა შესანიშნავად იყო მასში შერწყმული. ჩვენდა საბედნიეროდ ბორის პაიჭაძის გვერდით ამ მხრივ საქართველოს მრავალი სპორტსმენი შეგვიძლია დავაყენოთ. მაგრამ აქაიქ კვლავ გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც თავიანთი უმსგავსო საქციელით ჩრდილს აყენებენ რესპუბლიკის სპორტულ კოლექტივს.

სარბიელზე იმარჯვებს ის სპორტსმენი, რომელშიც თანაბრადაა განვითარებული აღზრდის ორი მხარე — ტექნიკური და იდეური. როდესაც მწვრთნელი ცდილობს თავის აღსაზრდელში ეს ორი ძირითადი ელემენტი ჰარმონიულად შეასისხლხორცოს, განავითაროს, იგი ყოველთვის სასურველ მიზანს აღწევს. მის მიერ აღზრდილი სპორტსმენი სარბიელზე დიდხანს რჩება, კოლექტივსაც სახელს უხვეჯს და თვითონაც სპორტული დიდების კვარცხლბეკზე ადის. უდისციპლინო, ყოყლოჩინა, თავისთავში ზედმეტად დარწმუნებული სპორტსმენი მაღალ შედეგს ვერასოდეს ვერ მიაღწევს, იგი არც საზოგადოებრიობას უყვარს და სარბიელიდან შარშანდელი თოვლივით ქრება.

გასულ წელს ამ საკითხზე ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ, ბევრი უხეში შემთხვევა გამოვამზეურეთ, ბევრი სპორტსმენიც დაისაჯა და ბევრმაც შეიგნო თავისი შეცდომა. მაგრამ ჩვენი სპორტსმენების იდეური აღზრდის საკითხი დღემდე კიდევ არ არის გადაჭრილი და პირდაპირ უნდა თქვას, რომ სპორტის ზოგიერთ სახეობაში ჩვენი ჩამორჩენის მიზეზი სწორედ აქ უნდა ვეძებოთ.

გასულ წელს ფეხბურთის რესპუბლიკური სექცია ოფლშეუშრობლად მუშაობდა, თითქმის ყოველ კვირას იკრიბებოდა და, როგორც წესი, სპორტსმენთა შორის დისციპლინის საკითხს არჩევდა. არ ყოფილა დისციპლინის დარღვევის არც ერთი ფაქტი, რომ სექციას რეაგირება არ მოეხდინა. ასეთმა ოპერატიულმა მუშაობამ, რასაკვირველია, შედეგი გამოიღო. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრჯერ სექციის დადგენილებას ადგილობრივი ორგანიზაციები მხარს არ უჭერდნენ.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ გასული წლის ფაქტები მოძველდა. აქ რაღა მოსატანიაო. მიმდინარე წლის მხოლოდ სამი თვე გავიდა, დისციპლინის დარღვევის ფაქტები (აღმაშფოთებელისაც კი) უკვე გვაქვს. აი, სულ ახლახან, ქუთაისში დამთავრდა ახალგაზრდა სპორტსმენთა რესპუბლიკური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. აქ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი: გორელმა ბაზერაშვილმა თავისი მოწინააღმდეგე წააქცია და დასცინა, შეურაცხყოფა მიაყენა. ნაკლებ გასაკვირი იქნებოდა, რომ მოწინააღმდეგემ წაგაქციოს, გაბრაზდე და შეურაცხყოფა მიაყენო (თუმცა სპორტსმენისათვის ესეც ყოვლად შეუწყნარებელი ფაქტია), მაგრამ წააქციო და დასცინო? ეს ყოველგვარ თავხედობას აღემატება.

სპორტსმენის აღზრდა მარტო მწვრთნელთა მოვალეობა როდია, ოჯახი, სკოლა, ამხანაგები დიდ როლს თამაშობენ მისი ხასიათის ჩამოყალიბებაში, ამიტომ სპორტულმა საზოგადოებამ, რომლის ორგანიზაციაშიც სპორტსმენი იზრდება, ყოველმხრივ უნდა შეისწავლოს იგი, რაც სამწუხაროდ, არ ხდება. სპორტული საზოგადოება დამოკიდებულია მთლიანად მწვრთნელზე და თვითონ მხოლოდ სპორტსმენის ბაზებით, ინვენტარით მომარაგებაზე ზრუნავს. ბევრ მწვრთნელს კი არ გააჩნია სათანადო ცოდნა და გამოცდილება, რომ აღსაზრდელში ჰარმონიულად განავითაროს ტექნიკური და იდეური მხარე.

სპორტსმენთა იდეური დონის საკითხი ამას წინათ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკის კომიტეტის მსჯელობის საგნად იყო და სათანადო დადგენილებაც იქნა მიღებული, მაგრამ ეს დადგენილება ქაღალდზე დარჩება თუ ყველამ შეთანხმებულად არ მოვკიდეთ ხელი ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოვუღოთ ლიბერალობას, როგორც კი გამოვლინდება დისციპლინის დარღვევის ფაქტი, იმ წამსვე უნდა გახდეს იგი მსჯელობის საგნად, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საქმეში რაც მეტ ოპერატიულობას გამოვიჩენთ, მით უფრო მეტი გვეყოლება მაღალი თანრიგის სპორტსმენები, ძლიერი გუნდები, მტკიცე, ბრძოლისუნარიანი კოლექტივები, მით უფრო პოპულარული გახდება ფიზკულტურა და სპორტი და სექციებისაკენ ახალბედების მძლავრი ნაკადი დაიძრება.

საქართველო სპორტული ქვეყანაა! ამას ყველა ამბობს, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ როდესაც ამას იტყვიან დაუმატონ, რომ საქართველოს სპორტსმენები გამოირჩევიან არა მარტო მაღალი ტექნიკური მაჩვენებლებით, არამედ ზრდილობით, კულტურით, კოლეგიურობით, პარტნიორისადმი პატივისცემით.

მიმდინარე წელს ჩვენს სპორტსმენებს მეტად დიდ ღონისძიებებში მოუხდებათ მონაწილეობის მიღება. ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ძირითადი მოვალეობაა, რომ ყოველი მათგანი ჩატარდეს მაღალ დონეზე.

არ დავუშვათ დისციპლინის დარღვევის არცერთი შემთხვევა! ასეთია რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე დასახული ამოცანა.

# დიდი მატჩი

## ანგარიშია

## 8 : 5

XII პარტიით (3 აპრილს შედგა) დამთავრდა მატჩ-რევანშის პირველი ნახევარი. ამ „საიუბილეო" დღეს მეტოქეებმა გაითამაშეს ისეთი დებიუტი, რომელიც არასოდეს არ გამოყენებულა მათ შეხვედრებში. როცა სმისლოვმა აღარ ისურვა ძველინდური დაცვის თამაში, ბოტვინიკმა ბრძოლა ჩეხი გროსმაისტერის რიჰარდ რეტის სადებიუტო სისტემაში გადაიყვანა. ამ დებიუტისათვის დამახასიათებელია ძალთა სწრაფი განვითარება, ხოლო შემდეგ ცენტრში ოპერაციების წამოწყება. მაგრამ ეს პარტიაში არ მომხდარა.

ბოტვინიკმა არ მოინდომა ცენტრში თამაში. მან მოამზადა გარღვევა ლაზიერის ფრთაზე, რითაც უსაქმოდ დატოვა შავების თეთრუჯრედოვანი კუ. თამაშის ეს გეგმა პირველად განახორციელა კაპაბლანკამ მოსკოვის მესამე საერთაშორისო ტურნირში, 1936 წელს ლილიენტალთან პარტიაში. სხვათაშორის შემდგომ ამ კუს არასახარბიელო მდგომარეობამ სმისლოვს ბევრი უსიამოვნება მიაყენა.

სმისლოვმა დაისახა მიზნად, რაც არ უნდა დაჯდომოდა თამაშში შემოეყვანა კუ. მან გაცვალა მრავალი ფიგურა, მათ შორის ეტლებიც და კუ მაინც „გააცოცხლა". მაგრამ ეს მას ძვირად დაუჯდა. სმისლოვის პოზიციაში ახალი სისუსტეები შეიქმნა.

პარტიის გადადების წინ ბოტვინიკმა შეწირა ფიგურა და დაფაზე ასეთი მდგომარეობა შეიქმნა:

ვ. სმისლოვი



მ. ბოტვინიკი

აქ ბოტვინიკმა ჩაიწერა მეტად ძლიერი სვლა (მხედრით აიყვანა პაიკი). 4 აპრილს თამაშის განუახლებლად სმისლოვი დანებდა. მოგვყავს მოგების ერთ-ერთი ძირითადი ვარიანტი.

41. ... მe3 42 კ:d4 მd1 43. მg6+ მფd8 (თუ 43. ... მფf7, მაშინ 44.ლf5+ მფg8 45. ლf8+მფh7 46 მe7 მოგებით) 44. e5 ლc6 45. ლd4+ ლd7 46 ლh4+ მფc8 47. მe7 + მფb7 48. ლe4+ მფa7 49. c6 ლd2 50. კd4+ მოგებით

* * *

გუშინ შედგა XIII პარტია, რომელიც 41-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

მატჩის ანგარიშია 8:5 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ.

# მესამე საპატიო ადგილი

29 მარტიდან 2 აპრილამდე ტალინში ტარდებოდა მატჩი თანამედროვე ხუთჭიდში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ხუთი ნაკრები კოლექტივი — საბჭოთა კავშირის ხალხთა 1956 წლის სპარტაკიადის ჩემპიონი — სომხეთის გუნდი, უკრაინის, საქართველოს, ესტონეთისა და ლენინგრადის კოლექტივები. „მცირე პირველობა" ასე უწოდებენ ამ მატჩს ხუთჭიდელები.

მძაფრ ბრძოლაში ჩაიარა პირველი დღის შეჯიბრებამ საცხენოსნო კროსში. ამ სახეობაში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები. გუნდის სამმა მონაწილემ ა. პეცოვმა, გ. კალმახელიძემ და ი. მურომცევმა შეძლეს ქულათა მაქსიმალური რაოდენობის მოპოვება (1000 თვითეულმა) მეოთხე მონაწილეს ა. კრავჩენკოს ჰქონდა 665 ქულა. ამრიგად, 3665 ქულით საქართველოს ხუთჭიდელები სათავეში ჩაუდგნენ შეჯიბრებას.

შემდგომ მასპინძლებმა გაუსწრეს ლიდერებს და ხუთდღიანი ბრძოლის შედეგად გამარჯვებულნიც გამოვიდნენ ამ მატჩში. მეორე ადგილი დაიკავა სომხეთის გუნდმა, ხოლო საქართველოს სპორტსმენებმა მესამეზე გადმოინაცვლეს. ლენინგრადის ძლიერი კოლექტივი მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

# სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

## მეგობრობის ესტაფეტა

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს — ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლების 13 წლისთავს — მიეძღვნა მეგობრობის ესტაფეტა, რომელმაც გაიარა უნგრეთის ათასობით დასახლებულ პუნქტში. რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენებს მოჰქონდათ იგი საბჭოთა კავშირის საზღვრამდე.

2 აპრილს სასაზღვრო სადგურ ჩოპში, რომელიც საზეიმოდ იყო მორთული საბჭოთა კავშირის, უკრაინის სსრ და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, ჩამოვიდა უნგრელების დელეგაცია. ესტაფეტა ჩამოიტანა 47 გოგონამ და ჭაბუკმა, რომლებმაც საბჭოთა ახალგაზრდებს გადასცეს უნგრეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მხურვალე მეგობრული სალამი. სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს.

## დუნაის თასი

ბუდაპეშტში გაიმართა უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ბულგარეთისა და რუმინეთის ფეხბურთის სექციების წარმომადგენელთა სხდომა, რომელმაც დაადგინა მიმდინარე წელს ჩაატაროს ე. წ. „დუნაის თასის" გათამაშება. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება 4-4 გუნდი უნგრეთიდან, იუგოსლავიიდან და ჩეხოსლოვაკიიდან. ბულგარეთი და რუმინეთი კი წარმოდგენილი იქნებიან 2-2 კოლექტივით.

შეხვედრები დაიწყება 25 მაისს.

# ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში

რესპუბლიკურმა კომიტეტმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა ფეხბურთში: ს. კეკელიას (ქუთაისი), კ. გიორგობიანს (თბილისი, „კოლმეურნე"), ნ. კანდახსაზოვს (თბილისი, „ბურევესტნიკი"), მძლეოსნობაში—ი. შახოვცევს (რუსთავი, „მეტალურგი").

სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ ჭიდაობა სამბოში — რ. მაცაშვილს (თბილისი, „დინამო"), სიმძიმეების აწევაში —ვ. რადიმაშვილს (თბილისი, „განთიადი"), რ. გალოიანს (თბილისი, „სპარტაკი"), ალპინიზმში — გ. აბაშიძეს, თ. კუხიანიძეს, ო. ხაზარაძეს, რ. ხაზარაძეს (თბილისი, „ბურევესტნიკი"), ი. გაბლიანს (მესტია, „კოლმეურნე"), ზ. ახვლედიანს (ქუთაისი, „ბურევესტნიკი").

• • •

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა 25 წლის მანძილზე უმწიკვლო და აქტიური მუშაობისათვის სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა საკავშირო კატეგორიის მსაჯი მძლეოსნობაში დ. მიქაბერიძე.

# მაჩვენებლების ზრდისათვის

გასულ წელს ქედის რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს ახალგაზრდებს შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული დონის ზრდისათვის. გაფართოვდა მარტივი ტიპის სპორტული ბაზების ქსელი, შესრულდა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმა და სხვ.

წარმატებით დავიწყეთ ახალი, 1958 წლის სპორტული სეზონიც. გასულ სამ თვეში უკვე ჩავატარეთ შვიდი რაიონული ღონისძიება, მივიღეთ მონაწილეობა აჭარის საოლქო პირველობაზე სიმძიმეების აწევაში, ქართულ და კლასიკურ ჭიდაობაში, სადაც მეორე და მესამე ადგილები დავისაკუთრეთ, ხოლო ჩვენი რაიონის ოთხმა სპორტსმენმა მოიპოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება.

მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად შევადგინეთ სპორტული ბაზების მოწყობის ორწლიანი გეგმა, რომლის განხორციელების შემდეგ რაიონს შეემატება ფეხბურთის ორი, კალათბურთის ოთხი, ფრენბურთის 15 მოედანი, 50 სახტომი ორმო, 8 სარბენი ბილიკი, 2 ტანვარჯიშული ბაქანი. შევიძენთ აგრეთვე რამდენიმე ათასი მანეთის სპორტინვენტარსა და სხვ. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავზარდოთ ჩვენი მაჩვენებლები.

შ. კილურაძე,
ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

# ფიზკულტურულ კოლექტივებში

ჩუმლაყელებმა უნდა დაიბრუნონ დაკარგული ტრადიცია

საზოგადოებრივი კადრების შეუფასებლობის შედეგი

რატომ არის სპორტული ინვენტარი გამოუყენებელი

## გამოუყენებელი ჯილდო, დაშლილი სექციები

არტელ „რემობუვის" ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი წლების მანძილზე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა რესპუბლიკაში. ეს წარმატება შემთხვევითი რომ არ ყოფილა იქიდანაც სჩანს, რომ ჯერ კიდევ 1951 წელს მოპოვებული გარდამავალი დროშა რემობუველებს დღემდე უპყრავთ და რაიონის პირველობასაც ინარჩუნებენ. ეს კოლექტივი არც სპორტსმენთა მომზადებაში ჩამორჩებოდა ვინმეს. გასულ წელს გეგმით გათვალისწინებული ექვსი მეორეთანრიგოსნის ნაცვლად აქ მომზადდა 8 მეორეთანრიგოსანი (3 მძლეოსნობაში და 5 ცურვაში). ნაცვლად 10 მესამეთანრიგოსნისა 47, ხოლო რაც შეეხება „რემობუვის" ფეხბურთელებს, კარგ შედეგს მიაღწიეს რესპუბლიკის პირველობაზე.

ადგილობრივი ბაზების უქონლობის გამო სპორტული სექციების მუშაობა იჯარით აღებულ ბაზებზე (თბილისის განათლების განყოფილების სპორტდარბაზი, საჩამომსხმელო მექანიკური ქარხნისა და მაუდის ქარხნის ბაზები) მიმდინარეობდა. ამის მიუხედავად კოლექტივს ხელი არ ეშლებოდა, რომ სპორტის მთელ რიგ სახეობებში უძლიერესი ყოფილიყო. მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის სწორად დაყენებისათვის „სპარტაკის" ცენტრალურმა საბჭომ თავის კოლექტივების საკავშირო კონკურს-დათვალიერებაში არტელი „რემობუვის" ფიზკულტურული კოლექტივი საუკეთესოდ მიიჩნია და მეორე ხარისხის დიპლომითა და 3000 მანეთის პრემიით დააჯილდოვა. აქტიური მუშაობისათვის დიპლომითა და ფულადი პრემიით დააჯილდოვა აგრეთვე ძირეული საბჭოს თავმჯდომარე შ. ბუაძეც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლამაზად გაფორმებული სპორტული კუთხის სურათი როგორც სანიმუშო, მოსკოვში, „სპარტაკის" ცენტრალურ საბჭოში გაიგზავნა.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ.. საქმე იმაშია, რომ ეს იყო შარშან. წელს კი ამ ძლიერი კოლექტივის საქმიანობა ნულამდეა დაყვანილი. მივყვეთ ფაქტებს: ზემოაღნიშნული ოთახი, რომლის სურათიც როგორც სანიმუშო მოსკოვშია გაგზავნილი და რომელიც „რემობუვის" სპორტსმენთა შტაბს წარმოადგენდა (იგი მდებარეობს ლესელიძის ქუჩაზე გამგეობის ოთახის გვერდით) წელს რატომღაც ჩამოერთვა „რემობუვს" და გადაეცა მარჯვენა სანაპიროს სასადილოების ტრესტს, რომელმაც ეს ოთახი გვერდზე მდებარე სამზარეულოს მიუმატა. ძირეული კოლექტივის მიერ ბრძოლით მოპოვებული ჯილდოები — გარდამავალი დროშა, თასები, დიპლომები და სხვა ნივთები უყურადღებოდაა მიყრილი „რემობუვის" ბუხჰალტერიის კუთხეში. ხოლო რამდენიმე მეტრიანი ოთახი, რომელიც რემობუველებმა საკუთარი ოთახის მაგივრად მიიღეს (ვერცხლის ქუჩა № 28-ში) დღემდე ცარიელი და გამოუყენებელია.

არტელის თავმჯდომარის ნ. რიკრიკაძის და ძირეული საბჭოს თავმჯდომარის შ. ბუაძის ერთმანეთში არაკოლეგიალური დამოკიდებულების გამო ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული. წინა წლების მსგავსად წელს იჯარით აღარ აუღიათ სპორტული ბაზები და ფაქტიურად არც ერთი სექცია აღარ მუშაობს. შედგენილი არაა სამუშაო გეგმები, არ ჩატარებულა არც ერთი შიდასაკოლექტივო ღონისძიება, არავითარი სამზადისი არ ტარდება „სპარტაკის" სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის. საქმე იქამდე მივიდა, რომ სარაიონო პირველობაზე ჭადრაკში, „რემობუვის" კოლექტივმა, რომელმაც გასულ წელს პირველობა მოიპოვა, ვერ შესძლო ვერც ერთი მონაწილის გამოყვანა. 7 მარტიდან შ. ბუაძე იმყოფება შვებულებაში და არტელის თავმჯდომარემ ვერ მოახერხა ვინმესთვის დაევალებია ფეხბურთელთა პირადი ბარათების შევსება, გათამაშება კი კარზეა მომდგარი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს უკვე ის გუნდი აღარ იქნება, რომელიც გასულ წელს წარმატებით გამოდიოდა ფეხბურთის ასპარეზზე.

საკავშირო კონკურს-დათვალიერებაში, ჯილდოდ მიღებული 3000 მანეთიდან 1500 მანეთის სპორტინვენტარი და ფორმა დღემდე ხელუხლებლად დევს ყუთებში, ხოლო ფულად დარჩენილი 1500 მანეთი შ. ბუაძეს გამოკეტილი აქვს სეიფში და ფიზკულტურის ძირეულ საბჭოს დღემდე ვერ მოუხერხებია მისი გამოყენება.

ასე გამოიყურება დღეს კარგი ტრადიციების მქონე ძირეული კოლექტივი.

გ. სამსონაძე

## კმარა დაპირება, საქმე გვაჩვენეთ

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის ახალგაზრდობას შორის მაღალ დონეზე იყო დაყენებული ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა. ამ სოფლის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი რესპუბლიკაში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლებოდა. შექმნილი იყო სპორტული სექციები, კეთილმოწყობილ ბაზებზე სისტემატურად ტარდებოდა შეჯიბრებები, ჩუმლაყელთა ფეხბურთის გუნდი საქართველოს სსრ პირველობის გათამაშებაშიც კი მონაწილეობდა. ასრულებდა რა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მონაწილეობდნენ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

მაგრამ... ეს იყო წინათ. ახლა? ჩუმლაყის ფიზკულტურულმა კოლექტივმა დაჰკარგა ტრადიცია, ჩამორჩა ფიზკულტურული მოძრაობის ტემპს, აი ფაქტებიც: 1956 წელს „კოლმეურნეს" რესპუბლიკურმა საბჭომ გადაწყვიტა რაიონისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობასთან ერთად ჩუმლაყის ფიზკულტურული კოლექტივის კარგი ტრადიციების აღდგენა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ოსოშვილმა დაპირებით აავსო ფიზკულტურელები, მაგრამ, სამწუხაროდ, დაპირება დაპირებად დარჩა. გასული წლის აპრილში გაზეთ „ლელო" ფურცლებზე კვლავ გამოჩნდა ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელმაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაზრდილი ვალდებულებები აიღო. ჩუმლაყელებმა მოწოდებით მიმართეს ზესტაფონის რაიონის სოფელ [illegible] კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივს გაეშალათ [illegible] შეჯიბრება [illegible] სპორტული მუშაობის აღმავლობისთვის, კოლექტივის ორგანიზაციულად განმტკიცებისათვის, მოეწყოთ მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, გადაეჭარბებინათ მშრომელთა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმისათვის, შეეძინათ საჭირო სპორტული ინვენტარი და ა. შ. მოწოდებას პირველ რიგში ხელი აწერდა ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ოსოშვილი, კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი [illegible] კენკიაშვილი, ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე [illegible] ბუაძე და სხვები. ჩუმლაყის კოლმეურნეთა ინიციატივა, რომელსაც სათავეში თაოსნობდა თვით კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ოსოშვილი, ძალზე მისასალმებელი და სასარგებლო ღონისძიება იყო, მაგრამ რა გამოვიდა, იგი ისევ ქაღალდზე დარჩა.

რა სურათი გვაქვს ახლა კოლმეურნეობაში? სავალალო. მუშაობა ჩამკვდარია ნულამდეა მისული. კოლმეურნეობაში არ არის შექმნილი სისტემატურად მომუშავე სპორტული სექციები, არარეგულარულად ტარდება სპორტული შეჯიბრებები, არ იყიდება საჭირო ინვენტარი, არ ტარდება საბჭოს სხდომები, შეჯიბრებული ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გასული წლის გეგმა მხოლოდ 50 პროცენტითაა შესრულებული. უპატრონოდაა მიტოვებული ოდესღაც კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები, არ გააჩნიათ საჭირო სპორტული ინვენტარი და ა. შ. აი რა მდგომარეობამდე მიიყვანა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, რესპუბლიკის მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივი კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის უგულგულო დამოკიდებულებამ.

როდესაც კოლმეურნეობის ხელმძღვანელობასა და მის თავმჯდომარეზე ვ. ოსოშვილზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს გურჯაანის რაიონის „კოლმეურნეს" რაისაბჭო, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი. ამ მოწინავე კოლექტივის ასე სამარცხვინოდ ჩამორჩენაში მათაც მიუძღვით დიდი ბრალი. ვ. ოსოშვილს კი მოვაგონებთ, რომ დროა დაპირებებიდან საქმეზე გადავიდეს და ანგარიში გაუწიოს თავისი კოლმეურნეობის ახალგაზრდების სამართლიან საყვედურებს.

ტ. კიკნაველიძე

## აქ სჩქეფდა მუშაობა

ვისაც ამ 6-7 წლის წინათ ლენინის სახელობის რაიონის იმ მხარეს გაუვლია, სადაც ახლა კინოთეატრი „საქართველოა", ადვილად შეამჩნევდა კეთილმოწყობილ სტადიონს ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნებით, ტანვარჯიშული ბაქნითა და სახტომი ორმოებით, რომლებიც იურიდიულად ქარხანა „პლასტმასის" ფიზკულტურელებს ეკუთვნოდათ, მაგრამ რაიონის სხვა წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურელებსაც ბევრჯერ ჩაუტარებიათ მატჩები ფეხბურთსა და კალათბურთში, ჩაუბარებიათ ნორმატივები სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში. ერთი სიტყვით ბაზა პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმით დაიწყო სტადიონის გვერდით მდებარე ქუჩის გაფართოება, თუმცა, პროექტით იგი სტადიონის ხარჯზე არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მანქანების მძღოლებმა, რომლებიც ქალაქის ყველა კუთხიდან ეზიდებოდნენ მიწას, დაუდევრობა გამოიჩინეს და ფეხბურთის მოედანზე თანდათან გაჩნდა მიწის გროვები. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა ძირეული საბჭო, დირექცია. დახმარებისათვის რაიაღმასკომს მიმართეს, მაგრამ უკვე გვიან იყო, ფეხბურთის მოედანი მწყობრიდან გამოვიდა.

კალათბურთის მოედანი ასე თუ ისე ერთხანს კიდევ ასრულებდა მოვალეობას, მაგრამ მალე მასაც სტადიონის ბედი ეწვია. ამას წინათ კი ნასტადიონარზე საბავშვო ბაღის მშენებლობას შეუდგნენ.

გასულ წელს ფიზკულტურელთა დაჟინებითი თხოვნით ქარხნის ეზოში მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის კომბინირებული მოედანი, რომელიც ახლა ერთადერთი ბაზაა „პლასტმასში", თუ მხედველობაში არ მივიღებთ წითელ კუთხეს, სადაც ჭადრაკს თამაშობენ და სამმართველოს დერეფანში დადგმულ ჩოგბურთის მაგიდას.

საკმაოდ მრავალრიცხოვანია ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი. ახალგაზრდებს უყვართ ფიზკულტურა და სპორტი და სწორედ მათი ინიციატივით წინა პერიოდთან შედარებით შარშან ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო საქმიანობას. მაგრამ იგი წვეთია ზღვაში, აქ არსებულ შესაძლებლობებთან შედარებით. სექციებში გაერთიანებულია სპორტსმენთა მინიმუმი, ამ დღეებში, ჩამოყალიბებული კალათბურთის სექციას ჯერ არ დაუწყია ნაყოფიერი მუშაობა. არ იქნა და ვერ შეძლეს საერთო ფიზმომზადების სექციის ამოქმედება. უპატრონოდ მიყრილ ძალოსნობის ინვენტარს ჟანგი სჭამს, სექციის შექმნას არაფერი ეშველა, თუმცა ვარჯიშის მსურველები საკმაოდ არიან. ფორმალურად არსებობს სროლის სექციაც.

ქარხანაში უგულებელყოფილია ფიზკულტურულ კადრებთან მუშაობა. სწორედ ამიტომაა, რომ ფიზორგების უმეტესობა საქმიანობას საწევრო ანარიცხების აკრეფითა და საამქროებში საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარებით განსაზღვრავენ, არ ზრუნავენ საამქროთა პირველობების გამართვაზე, იშვიათად, შემთხვევიდან შემთხვევამდე აწყობენ შეხვედრებს სხვა საამქროებთან სპორტის ცალკეულ სახეობებში, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებაში არ ეხმარებიან ძირეულ საბჭოს, ფიზკულტურის ინსტრუქტორს. თუმცა ამაში დამნაშავენი თვითონ ძირეული საბჭო და ფიზკულტურის ინსტრუქტორია, რომლებმაც არასათანადოდ იზრუნეს ფიზორგთა კადრების შესარჩევად.

არასათანადო ყურადღება ექცევა მწვრთნელთა კადრების შერჩევის საკითხსაც. ფეხბურთი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს ქარხანაში. იმისათვის, რომ ძლიერი გუნდი ჰყავდეთ, ძალღონეს არ ზოგავენ, მაგრამ არაკანონზომიერად, დაუფიქრებლად. ასე იყო შარშანაც, როცა გუნდის მწვრთნელად ვ. ნარიმანიძე მოიწვიეს, რომელიც სამი თვის განმავლობაში მხოლოდ ხელფასის მისაღებად დადიოდა ქარხანაში, გუნდის რეგულარულ წვრთნაზე კი არც უფიქრია.

ქარხნის მუშა სლოიკინმა კი, რომელმაც გასულ წელს ორ კვირას დაჰყო ერევანში „ენერგიის" ცენტრალური საბჭოს მიერ გამართულ საზოგადოებრივი მწვრთნელების გადასამზადებელ კურსებზე, წყალში ჩაჰყარა კოლექტივის ამაგი — განზე გაუდგა ფიზკულტურულ საქმიანობას.

ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობის გამოცოცხლებისა და მზარდ სპორტსმენთა გამოვლინების მიზნით გასული წლის დამლევს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმად ძირეულ კოლექტივებში სისტემატურად უნდა ჩატარდეს ღონისძიებები წრიული სისტემით, რამდენიმე ტურად. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის კი აქ დღემდე არაფერი გაკეთებულა.

ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი არადამაკმაყოფილებლად ემზადება პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სპარტაკიადისათვის. მართალია, ამჟამად მიმდინარეობს შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა, მაგრამ ისეთ სახეობებში, რომლებიც თითქმის არ შედიან პროფკავშირების სპარტაკიადის პროგრამაში.

ქარხნის ფიზკულტურელთა ერთმა რიგმა საყვედური გამოთქვა ფიზკულტურის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მიმართ, რომ წლების განმავლობაში მათი მუშაკები არავის უნახავს მოსული ძირეულ კოლექტივში დახმარების გასაწევად, რჩევა-დარიგების მისაცემად და სხვა ღონისძიებების გასატარებლად. მხოლოდ ფიზკულტურის ქალაქკომიდან იყვნენ გასული წლის დამლევს, შეამოწმეს ძირეული კოლექტივის საქმიანობა, საკითხი გაიტანეს კომიტეტის სხდომაზე და... დადგენილება ორი თვის შემდეგ გამოუგზავნეს ძირეულ კოლექტივს. ჩვენი აზრით ქარხნის ფიზკულტურელთა საყვედური სამართლიანია, რადგან რაიონული და საქალაქო კომიტეტები რომ სათანადო დახმარებას უწევდნენ „პლასტმასის" ფიზკულტურელებს, აღნიშნულ მდგომარეობას ადგილი არ ექნებოდა.

ო. გელაშვილი

ლელო
მე-2 გვ. № 41 (1211)



⊙ კიევი. 3 აპრილი. აქ შედგა მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკსა“ და ლენინგრადის „ადმირალტეეცს“ შორის.

თამაში მოიგეს სპარტაკელებმა — 4:1.

⊙ კიევი. 4 აპრილი. ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო მოსკოვის „ტორპედო“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

⊙ კიევი. 5 აპრილი. რესპუბლიკურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) და „ზენიტი“ (ლენინგრადი).

შეხვედრის ანგარიშია 0:0.

⊙ ხტალინო. 5 აპრილი. აქ თამაშობდნენ ადგილობრივი „შახტიორი“ და თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი.

ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს არმიელებმა.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 აპრილისათვის

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 3:0 | 4 |
| „დინამო“ კ. | 3 | 1 | 2 | 0 | 9:5 | 4 |
| „სპარტაკი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 4 |
| „ტორპედო“ | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 4 |
| „დინამო“ მ. | 3 | 1 | 1 | 1 | 6:2 | 3 |
| ცსკ მო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 2 |
| „დინამო“ თბ. | 2 | 1 | 0 | 1 | 3:7 | 2 |
| „შახტიორი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 2 |
| „ზენიტი“ | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| „მოლდოვა“ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| „ადმირალტეეცი“ | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | 0 |

# ფეხბურთი

# ჩემპიონი ჰკარგავს ქულებს

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 4 აპრილი.

„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (მოსკოვი) — 0:0.

„კრილია სოვეტოვი“ — მიგალევი; მაზეპოვი, კოლცოვი, მაქსიმოვი; კარპოვი, კირში; რედკინი, მოისეევი, გუზიკი, ნოვიკოვი, დორონინი.

„დინამო“ — იაშინი; კესარევი, კრიჟევსკი, იურჩენკო; ცარიოვი, სოკოლოვი; შაბროვი, ურინი (შაპოვალოვი), მამედოვი, ფედოსოვი, რიჟკინი.

მსაჯი ლ. ხარქისოვი (სოჭი).

ამრიგად, ჩემპიონმა დაკარგა კიდევ ერთი ქულა, დაკარგა მოწინააღმდეგესთან, რომელიც შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით მისგან მეტად შორს იმყოფება — მე-11 ადგილზე.

ანგარიში 0:0 თავისთავად „კუიბიშევურია“, მაგრამ ვოლგელებმა ამ დღეს მას მიაღწიეს არა თავიანთი ძველი და ნაცადი „ყრუ დაცვის“ ტაქტიკის წყალობით, არამედ უაღრესად მძაფრი და ენერგიული, თავგანწირული ბრძოლით მთელს მინდორზე. კიდევ მეტიც — ფორვარდების ზედმეტი სიჩქარე რომ არა, „კრილია სოვეტოვს“ შეეძლო გამოეყენებინა ერთ-ერთი მაინც ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობიდან და მოეგო მატჩი.

მოსკოვის „დინამო“ 90 წუთის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა აეწყო ნამდვილი „ჩემპიონური“, კომბინაციური თამაში, მაგრამ კუიბიშეველები მას ამის საშუალებას არც ერთი წუთით არ აძლევდნენ და ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ზედ ფეხზე აჯდნენ მოწინააღმდეგეს. მათ თავიდანვე შეასრულეს თავიანთი ძირითადი ამოცანა: არ მიეცათ დინამოელთათვის ბურთის თავისუფლად მიღებისა და დამუშავების საშუალება, მჭიდროდ დაეჭირათ კომბინაციაში მონაწილე მოთამაშეები, სუფთა ძალისმიერ ბრძოლაში დაეჯაბნათ ისინი.

„კრილია სოვეტოვის“ ყოველმა მოთამაშემ 100 პროცენტით შეასრულა თავისი მოვალეობა. ყოველ სახიფათო მომენტში თითქმის მთელი თავდასხმა ჩამოდიოდა დაცვის მისაშველებლად და მაშინვე, როგორც კი ბურთი მოგერიებული იყო, ფორვარდები სწრაფად გადიოდნენ წინ და ზუსტი, გრძელი გადაცემებით ხანგრძლივ შეტევას ქმნიდნენ მოსკოველთა ნახევარზე.

ეს უკვე მეორე მატჩია თბილისელი მაყურებლები იმის მოწმე არიან, რომ მოსკოვის „დინამო“ ვერ პოულობს თამაშის სწორ გეგმას იმ შემთხვევაში, როცა მისი მოწინააღმდეგე მიმართავს მაქსიმალური ენერგიის ატლეტურ ბრძოლას და თამაშობს უაღრესად დიდი ფიზიკური დატვირთვით. ჩემპიონის „მექანიზმი“ სწრაფად იშლება, ურთიერთმოქმედება ხაზებს შორის ირღვევა და გუნდი თამაშობს სწორედ ისე, როგორც მის მეტოქეს უნდა — ნერვიულად, ზედმეტი სიფიცხით, არაზუსტი გადაცემებით. ასე მაგალითად, განვლილ მატჩში „დინამოს“ თავდამსხმელთა უმრავლესობას არც ერთხელ არ დაურტყამს კარში, ხოლო დაცვაში იმდენი შეცდომა იქნა დაშვებული, რომ კუიბიშეველები ვერ აუდიოდნენ კუთხური საჯარიმოების მოწოდებას.

ისევ სუსტად ითამაშეს „დინამოს“ მცველებმა კესარევმა და განსაკუთრებით იურჩენკომ. სწორედ რედკინი და დორონინი გადიოდნენ მეტად აგრესიულად ფლანგებზე. ამ მატჩში „კრილია სოვეტოვის“ ორივე გარემარბი ჩინებულად თამაშობდა, მაგრამ ერთი დიდი ნაკლით: არ შეიძლება ამდენი ხელსაყრელი მდგომარეობის დაკარგვა მოპირდაპირის კართან. კარგ შეტევას კარგი დამთავრებაც უნდა.

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ XX ჩემპიონატში შესანიშნავი სტარტი აიღო — ერთი ფრე თასის მფლობელებთან, ერთიც — ჩემპიონთან.

* * *

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი არ შემდგარა.

ბ. ქორქია

# თამაში მიმდინარეობს ფინალში

## „ბ“ კლასის გუნდების საკავშირო პირველობა

სვერდლოვსკში გრძელდება „ბ“ კლასის კალათბურთელთა საკავშირო პირველობა. მორიგ მატჩში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა გუნდი შეხვდა ოდესის „ბურევესტნიკს“. თამაშის პირველ წუთებიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს ოდესელებმა. მათ მატჩის პირველი ნახევარი მოიგეს 12 ქულის განსხვავებით.

შესვენების შემდეგ თამაში თანდათან გათანაბრდა. კარგად თამაშობდა ნ. თინიკაშვილი, რომლის ზუსტი ტყორცნები ხშირად მიზანს აღწევდა. თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე თბილისელები [illegible] 3 ქულით აგებდნენ, [illegible]ტის გაკეთება ვერ შესძლეს. მატჩი მოიგო ოდესის „ბურევესტნიკმა“ ანგარიშით — 53:48.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და როსტოვის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდების შეხვედრებში კარგა ხანს წინ იყვნენ თბილისელები, რომელთაც მოიგეს პირველი ტაიმი ანგარიშით 35:33. მეორე ნახევარში თამაში ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, როცა თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთი დარჩა, თბილისელები მოედანზე ოთხნი დარჩნენ, რაც კარგად გამოიყენეს როსტოველებმა და გაიმარჯვეს ანგარიშით 83:70.

მორიგი შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა გუნდს ჰქონდა მოლდაველთან. თამაში ორივე გუნდის ურთიერთშეტევით დაიწყო, მაგრამ მალე აშკარა გახდა თბილისელთა უპირატესობა, რომელთაც ანგარიში თავიანთ სასარგებლოდ წაიყვანეს — 8:0. მაგრამ მოლდაველი კალათბურთელები სწრაფად გაერკვნენ შექმნილ სიტუაციაში და უკვე მე-9 წუთზე ანგარიში იყო — 10:10. სულ მალე ტატულაშვილმა, გენგაშვილმა თავიანთი გუნდი წინ გაიყვანეს — 27:17. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 29:21.

მეორე 20 წუთში წინ კვლავ თბილისელები იყვნენ, უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით — 53:45.

• • •

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბელორუსიის გუნდების მატჩის შედეგი, 82:80 ბელორუსელთა სასარგებლოდ.

სვერდლოვსკიდან რედაქციამ მიიღო სპეციალური კორესპონდენტის დეპეშა, სადაც აღნიშნულია, რომ მატჩი მოიგეს არა ბელორუსებმა, არამედ თბილისელებმა — 82:80.

ი. გოლემბიოვსკი.

ჩვენი სპეც. კორესპონდენტი

## ჭაბუკთა შორის

მიმდინარე წლის პირად-გუნდურმა პირველობამ ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, რომელიც ამას წინათ ქუთაისში ჩატარდა, მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა მიიზიდა: აწონვაზე დაშვებულ იქნა 110 მოჭიდავე.

ამ პირველობის ტექნიკური შედეგები ასეთია: გუნდურ ჩათვლაში თბილისის გუნდმა შორს ჩამოიტოვა უახლოესი კონკურენტები და დედაქალაქში ჩამოიტანა გათამაშების თასი. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ საგარეჯოელ და კასპელ მოჭიდავეთა გუნდები. პირად ჩათვლაში, წონითი კატეგორიების მიხედვით, უძლიერესნი აღმოჩნდნენ: შ. მკერვალიძე (წითელწყარო), ი. ბერიაშვილი (კასპი), გ. ქიტუაშვილი (მცხეთა), ი. პაპუნაშვილი (კასპი), თ. თეთრაშვილი (თბილისი), ნ. ხახიაშვილი (თბილისი), ა. ქაჩაშვილი (წითელწყარო), გ. გზირიშვილი (საგარეჯო).

შეჯიბრებამ ცხადყო ჭაბუკ მოჭიდავეთა ოსტატობის ზრდა. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია შ. მკერვალიძე, თ. თეთრაშვილი, ნ. ხახიაშვილი, დუშელი ვ. პეტრიაშვილი, ა. ქაჩაშვილი და გ. გზირიშვილი. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ამ უკანასკნელის საბრძოლო არსენალის გამდიდრება და მრავალფეროვნება გასულ წლებთან შედარებით. მძიმე წონის ეს მოჭიდავე, რომელმაც, სხვათაშორის, აშკარა უპირატესობით აჯობა ფიზიკურად ძლიერ და კარგი ტექნიკის მქონე თბილისელ ოდიშვილს, გაბედულად ატარებდა ფანდებს.

პირველობამ დაადასტურა ის სასიხარულო ფაქტიც, რომ ქართული ჭიდაობა დღითიდღე სულ უფრო ფართო „ტერიტორიებს“ იპყრობს ჩვენს რესპუბლიკაში, რასაც მასში თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, გორის, კასპის, საგარეჯოს, წითელწყაროს, დუშეთის, ბოგდანოვკის და გურჯაანის რაიონების წარმომადგენელთა მონაწილეობაც ადასტურებს. სხვათაშორის ამ შეჯიბრების დებიუტანტმა ბოგდანოვკის რაიონის მოჭიდავეთა გუნდმა იმდენად კარგი მომზადება და ძალა გვიჩვენა, რომ ვფიქრობთ, მომავალში ის საპრიზო ადგილების სერიოზული კონკურენტი იქნება.

შეჯიბრებაზე დაშვებული რაიონების რიცხვი გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, რომ ზოგიერთი რაიონის ფიზკულტურული ხელმძღვანელობა სათანადო გულისხმიერებით მოკიდებოდა სამანდატო კომისიაში წესიერად გაფორმებული საბუთების წარმოდგენას. ეს ითქმის, მაგალითად, თიანეთისა და ლანჩხუთის გუნდებზე. ამ უკანასკნელს მოუწესრიგებელ საბუთთა გარდა განაცხადში მოჭიდავეთა საექიმო შემოწმებაც კი არ ჰქონდა. მსგავსი მიზეზებით შეჯიბრებაზე არ იქნენ დაშვებული მცხეთის გუნდის 4 მონაწილე, წითელწყაროს, გურჯაანის, გორის, აჭარისა და სხვა გუნდების ზოგიერთი წარმომადგენელი.

დასასრულ, არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ გორელი მოჭიდავის — ბაზერაშვილის არასპორტულ, დამამცირებელ საქციელს: წააქცია რა ერთ-ერთი მოწინააღმდეგე, მან ნიშნის მოგებითა და დაცინვით დასძახა ზევიდან წაქცეულს. ქართულ ჭიდაობას ასეთი არაკეთილშობილური საქციელი არ შეშვენის და ეს ფაქტიც გორელი მოჭიდავეების ხელმძღვანელების სპეციალური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ი. ტერუნოვი,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი

* * *





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ჭაბუკ მოჭიდავეთა შეჯიბრების მომენტები.

ფოტო გ. გერსამიახი.

# რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

## წულუკიძე

ჩატარდა შეჯიბრება ქალაქის პირად პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც 30 სპორტსმენი მონაწილეობდა. ქალაქის ჩემპიონის სახელი წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: რ. მაჭარაშვილმა, ლ. ხობუამ, ე. ზარიძემ, კ. ტაკაშვილმა, ა. ფეიქრიშვილმა, ხ. მოსულიშვილმა, ნ. ჩომახიძემ, ვ. რეხვიაშვილმა.

კ. გოგოლაძე

## მახარაძე

აქ ოთხ დღეს მიმდინარეობდა რაიონული პირველობა ფრენბურთში, რომელშიც 16 საკოლმეურნეო გუნდი მონაწილეობდა. შეხვედრები მაღალ დონეზე ჩაატარეს ფამფალეთის ფრენბურთელებმა, რომლებმაც ყველა შეხვედრა მოიგეს და შეინარჩუნეს პირველობა და გარდამავალი ალამი, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია ფლობენ.

ზ. მექვაბიშვილი.

## ტყიბული

ტყიბულში, სტალინის სახელობის შახტის სპორტულ დარბაზში ჩატარდა საქალაქო პირველობა სიმძიმეთა აწევაში.

კარგად მომზადებული კოლექტივი წარმოადგინა სტალინის სახელობის შახტმა, რომელმაც დაიკავა საერთო გუნდური პირველი ადგილი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ქალაქის 1958 წლის ჩემპიონები გახდნენ კანთელაძე, ცირეკიძე, მიტროფანოვი, ქვილითაია, ტიხონოვი, ვერულაშვილი და წერეთელი.

ნ. ჯიხვაშვილი

# 83 ბავშვის მონაწილეობით

ყოველთვის, როცა კი ნორჩი მოჭადრაკეები ებმებიან შეჯიბრებაში, საზოგადოებრიობა მოელის ახალი მზარდი სპორტსმენების გამოვლინებას. უმეტეს შემთხვევაში მოლოდინი მართლდება, როგორც იგი გაგვიმართლა ამ ორიოდე დღის წინ ზუგდიდში დამთავრებულმა მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობის ნახევარფინალებმა, რომლებშიც 83 ნორჩი მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ტურნირებში უკვე ცნობილ მოჭადრაკეებთან ერთად თავი ისახელეს კარგი მომავლის მქონე გოგონებმა და ვაჟებმა: 13 წლის თ. ხუგაშვილმა, 11 წლის ლ. გიორგობიანმა, 16 წლის ე. ხუბუამ, 12 წლის ბადრი გურგენიძემ (ქუთაისი), 15 წლის ლ. ხაბურზანიამ და სხვებმა. მათი წარმატებანი შედეგია იმ ენერგიული მუშაობისა, რომელსაც ეწევიან თბილისის და ქუთაისის პიონერთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტები, თელავის, ბათუმისა და სხვა ქალაქის მწვრთნელები. ბავშვებს თამაშს ნათლად ემჩნევა საჭადრაკო თეორიის ცოდნა, თამაშისადმი სერიოზული დამოკიდებულება, რაც უსათუოდ მომავალ წარმატებათა საწინდარია.

ნახევარფინალებმა გამოავლინეს ღირსეული ფინალისტები. ამიტომ ფინალური ტურნირები, რომლებშიც ითამაშებენ აგრეთვე ნ. გაფრინდაშვილი, გ. ბუცხრიკიძე, ა. იზვოზჩიკოვი, რ. ჩირგაძე და თ. ჯახუტაშვილი, იპყრობენ ყურადღებას. ამ ტურნირების შედეგის მიხედვით დაკომპლექტდება ჩვენი რესპუბლიკის გუნდი მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობისათვის.

მოგვყავს ფინალში მოხვედრილთა ტექნიკური შედეგები: გოგონები. I ჯგუფი. ნ. ფანქველაშვილი (ხაშური) და მ. სტატნიკოვა (თბილისი) — 9 ქულა თვითეულს, ც. სამსონია (თბილისი) — 8 ქულა თ. ხუგაშვილი (თელავი) — 7 ქულა; II ჯგუფი: მ. ჩომახიძე (თბილისი) — 9 ქულა, ნ. ჯანგველაძე (თბილისი) — 8,5 ქულა, ე. ხუბუა (მცხეთის რაიონი) — 7 ქულა, ლ. გიორგობიანი (თბილისი) — 6,5 ქულა.

ვაჟები: I ჯგუფი: ე. კამინსკი (ბათუმი), ს. ჩობანიანი (თბილისი) — 8,5 ქულა თვითეულს, ს. მეგრელიშვილი (მახარაძე) — 8 ქულა; II ჯგუფი: ნ. ტურიაშვილი (თბილისი) — 8,5 ქულა, ლ. ხაბურზანია (თელავი) — 8 ქულა; III ჯგუფი: ვ. ურიდია (თბილისი) — 9 ქულა, მ ემიშიანი (თბილისი) და ა. მამაცაშვილი (რუსთავი) — 8,5 ქულა; IV ჯგუფი: ვ. დუგლაძე, ვ. აგაჯანიანი (ორივე თბილისიდან) და რ. კიკიანი (ზუგდიდი) — 8,5 ქულა თვითეულს. უმცროსი ასაკის (დაბადებული 1943 წლის შემდეგ) ჯგუფი: რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი) — 10,5 ქულა, რ. ხუხუნაშვილი (თბილისი) — 9,5 ქულა.

თ. თეთრაძე.

## ლ. ანთაძე—უძლიერესი ლოკომოტიველთა შორის

29-30 მარტს გროზნოში მიმდინარეობდა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში, რომელშიც 20-მდე გუნდი მონაწილეობდა. საზოგადოების ჩემპიონის წოდება გუნდურ ჩათვლაში მოიპოვეს მოსკოვის ტრანსპორტის ინსტიტუტის სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე აღმოჩნდნენ ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზისა და მეტრომშენის (მოსკოვის) გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდი წარუმატებლად გამოვიდა ამ შეჯიბრებაში, თუმცა ცალკეულმა სპორტსმენებმა საპრიზო ადგილები დაიკავეს. ასე მაგალითად, საქართველოს ერთ-ერთმა უძლიერესმა სპრინტერმა ლ. ანთაძემ 100 მეტრი გაირბინა 10,8, ხოლო 200 მეტრი — 23,0 წამში და ამ დისტანციებზე პირველი ადგილი დაისაკუთრა. მეორე ადგილი მოიპოვა ჭოკით ხტომაში გ. კობიაშვილმა, რომელმაც 3 მეტრი და 80 სანტიმეტრის სიმაღლე დაძლია. მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდა აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი — ლაქტიონოვი, რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში აჩვენა შედეგი — 1,85 მ. შუბის მტყორცნელთა შორის მესამე იყო ი. გიგაური.




## უნგრეთის ნაკრები ემზადება

უნგრეთის სპორტული ცხოვრების ყურადღების ცენტრშია ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. შეეციისკენაა მიმართული ფეხბურთის მოყვარულთა ფიქრები. ფეხბურთის მოყვარულთა მილიონიანი არმია აქტიურად მონაწილეობს „წინასწარ დისკუსიაში", რომელიც ფართოდაა გაშლილი პრესის ფურცლებზე და სპორტულ ორგანიზაციებში.

არ არის გასაკვირი, რომ სპეციალისტები, ისევე როგორც ფეხბურთის გულშემატკივრები, ცდილობენ იწინასწარმეტყველონ უნგრეთის ნაკრების ხვედრი ამ ჩემპიონატში. რა შედეგს აჩვენებს უნგრეთი? აი კითხვა, რომელიც არ ასვენებს მათ. ძნელია პასუხის გაცემა ამ „ახირებულ" შეკითხვაზე. ფაქტია მხოლოდ ის, რომ გენერალურმა რეპეტიციამ ჩაიარა უნგრელებისათვის ცუდად და ერთგვარად შეარყია მომავლის რწმენა. ალბათ მიხვდებით, რომ ლაპარაკი გვაქვს უნგრეთისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მატჩზე, რომელიც მოიგეს უკანასკნელებმა მინიმალური ანგარიშით — 1:0.

როგორც მსახიობები ამბობენ, გენერალური რეპეტიციის მარცხი — წარმატებას ნიშნავს პრემიერაზე. თუ ეს ასეა ფეხბურთშიც, მაშინ უნგრელებმა არ უნდა დაკარგონ წარმატების იმედი, ყოველ შემთხვევაში ერთი კი უნდა ითქვას: ჰანოვერის მარცხმა შეაშფოთა ფეხბურთის ხელმძღვანელები და სიფხიზლის გზაზე დააყენა ისინი — „წინასწარი დისკუსიაც" სწორედ ამ განგაშის შედეგი იყო. „თუ სიმართლეს პირდაპირ შევხედავთ თვალებში — აცხადებენ უნგრეთის სპორტის სპეციალისტები — სტოკჰოლმის ჩემპიონატში უნგრეთისათვის კარგს არაფერს უნდა ველოდეთ". ამ აზრს იზიარებს უმეტესობა, აი რას ამბობს უნგრეთის ფეხბურთის კავშირის თავმჯდომარე შანდორ ბარჩი:

— ჩემი აზრით ფინალში ითამაშებენ საბჭოთა კავშირი და ინგლისი. ამ გუნდებს სხვებზე უკეთესი ფიზიკური მომზადება აქვთ, რაც გადამწყვეტი იქნება ამ მეტად ძნელ ორკვირიან ტურნირში, ნახევარფინალში ზემოთჩამოთვლილი გუნდების გარდა მოხვდებიან ალბათ შოტლანდია და არგენტინა. უნგრეთის ეროვნული ნაკრები აჩვენებს კარგ თამაშს, მაგრამ მეოთხედფინალს იგი ვერ გასცდება. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ბურთი მრგვალია და მოსალოდნელია სასიამოვნო სიურპრიზიც.

იგივეს, ოღონდ უფრო კონკრეტულ ფორმებში იმეორებს უნგრეთის გუნდის მწვრთნელი კაროი შოში:

— ჰანოვერის გაკვეთილმა გვიჩვენა, რომ გუნდის თამაშის ეფექტიანობა მანამდე არ იქნება სრულყოფილი, ვიდრე ვერ აღმოვაჩენთ ნამდვილ ცენტრალურ თავდამსხმელს და მარცხენა გარემარბს. დარჩენილ პერიოდში ამ საკითხის წარმატებით გადაჭრა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ თუ კი მას მაინც მივაღწევთ, შანსები გვექნება ისეთივე, როგორც მთავარ პრეტენდენტებს.

აი რას ლაპარაკობს უნგრეთის ნაკრები გუნდის ხელმძღვანელი, ფეხბურთის ერთ-ერთი გამოჩენილი სპეციალისტი ლაიოშ ბაროტი:

— კარგი თამაშის საიდუმლოება ფიზიკურ მომზადებაშია. უკანასკნელ ხანებში ცხადი გახდა, რომ ტექნიკასა და გამოცდილებასთან ერთად წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ფიზიკური ძალა, სისწრაფე, ელასტიკურობა. ვინც ამ მხრივ იქნება უკეთ მომზადებული, გამარჯვებაც მას დარჩება. ჩვენ კურსი სწორედ ამ მიმართულებით უნდა ავიღოთ; მაგრამ არა მგონია, რომ შევძლოთ საბჭოთა კავშირის ან ინგლისის დაწევა.

## „მანჩესტერ იუნაიტედი"—ფინალში

აუარებელი მაყურებელი დაესწრო ნახევარფინალურ მატჩს ფეხბურთში ინგლისის თასზე, რომელიც შედგა ლონდონის „ჰაიბერის" სტადიონზე. თამაშობდნენ „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ფულეში".

ეს იყო ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა, ვინაიდან პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

მატჩი მოიგო „მანჩესტერ იუნაიტედმა" ანგარიშით 5:3. ამრიგად, 3 მაისს ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ბოლტონ უონდერერსი".



ნიუ-იორკი. მედისონ სკვერგარდენი. საშუალო წონის მოკრივეთა ხოზე ტერესსა (ნიუ-იორკი, მარჯვნივ) და ფულგჰემის (ჰანტინგტონი) შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვა ტერესმა, რომელმაც ბრძოლა მოიგო მესამე რაუნდში ნოკაუტით. ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

## ცალფეხა მთამსვლელმა დაიპყრო მწვერვალი

ცნობამ იმის შესახებ, რომ ყოფილმა მთამსვლელმა, ბრუნო ვინტერშტელერმა, რომელმაც თხილამურებზე შეჯიბრებისას დაკარგა ფეხი, შეძლო მწვერვალ მატერჰორნზე (ავსტრია) ასვლა, მსოფლიო სპორტული საზოგადოებრიობა აალაპარაკა.

ეს გასაგებიცაა, რადგან თვით საუკეთესო მთამსვლელებისათვისაც კი მატერჰორნზე ასვლა სერიოზულ გამოცდას წარმოადგენს. და რაღა თქმა უნდა, ასეთი ასვლა განსაკუთრებით ძნელია ინვალიდისათვის, რომელმაც აგერ უკვე ათი წელია, რაც ფეხი დაჰკარგა. ის ფაქტი, რომ ვინტერშტელერმა შეძლო მიეღწია 4482 მეტრიან მწვერვალისათვის, მას აყენებს მსოფლიოში ყველაზე გაბედულ და მამაც მთამსვლელთა რიცხვში.

მატერჰორნზე ასასვლელად ვინტერშტელერი დაჟინებით ემზადებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში. მან დაიმზადა სპეციალური ხელთათმანები ფოლადის სამთითებით და სათხილამურო ჯოხები, სპეციალურად დამზადებული სამკაპი. ამასთან, თანამოლაშქრეებს მან პირობა ჩამოართვა, რომ არავითარი ყურადღება არ მიექციათ მისი ფიზიკური ნაკლისათვის და მისთვის, როგორც სამეულის თანასწორუფლებიანი წევრისათვის, ყოველგვარი მოთხოვნა წაეყენებინათ.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი გმირობისა, არც ისეა საქმე, როგორც ამას უცხოეთის პრესა წარმოადგენს. მთელი რიგი საზღვარგარეთული გაზეთები აღნიშნავენ, რომ ვინტერშტელერის ეს გმირობა „განუმეორებელი" და „ერთადერთია" სპორტის ისტორიაში. ეს არ არის სწორი. საბჭოთა ალპინიზმი კარგად იცნობს სახელმოხვეჭილ მთამსვლელს ალიოშა ჯაფარიძეს, რომელსაც 1935 წლის ოპერაციის შემდეგ ფეხებზე თითები არ ჰქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად მან ბრწყინვალედ განახორციელა კავკასიონის ურთულესი მწვერვალების დაპყრობა და მეტად ძნელი ტრავერსი.

საბჭოთა ალპინისტების ისტორიიდან კიდევ მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება, როცა ფიზიკური ნაკლის მქონე ალპინისტები იპყრობდნენ ძნელად ასასვლელ მწვერვალებს.

გ. აბაშიძე,
ა. ეიდერმანი.



## შესანიშნავი და-ძმა ილზა და ჯონ კონრადსები

ეს ფენომენალური და-ძმა — ილზა კონრადსი და ჯონ კონრადსი ცხოვრობენ ავსტრალიაში. მართლაც, რომ ძნელად მოიპოვებოდეს სადმე ასეთი შედეგების მქონე და-ძმა. 13 წლის ილზამ და 15 წლის ჯონმა 8 დღის განმავლობაში დაამყარეს 8 მსოფლიო რეკორდი ცურვაში! თითქმის ყოველი ახალი გამოსვლა მთავრდებოდა ახალი რეკორდებით.

თუ მხედველობაში მივიღებთ მსოფლიო რეკორდების დღევანდელ მეტად მაღალ დონეს, თითქოს, მათი განახლება სპორტსმენს შეუძლია მხოლოდ ხანგრძლივი წვრთნისა და მომზადების შემდეგ. მაგრამ ილზამ და ჯონმა სულ იოლად უარჰყვეს ეს შეხედულება. სპორტის სპეციალისტები დიდ ინტერესს იჩენენ ამ საოცარი დაძმის მიმართ. ორივე ბავშვზე ათასგვარ ექსპერიმენტებს აწარმოებენ სამეცნიერო დაწესებულებანი (ილზას სიმაღლეა 165 სმ, წონა 53 კგ. ჯონის სიმაღლეა 177 სმ წონა — 72 კგ).

საოცარია ერთი ფაქტი, როცა ჯონი 8 წლისა იყო, იგი მძიმედ გახდა ავად, რის შედეგადაც ორივე ფეხი პარალიზებული აღმოაჩნდა. მშობლების მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა და მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ ჯონს ფეხების მოძრაობა აღარ დაუბრუნდებოდა, მამამ, რომელიც ცურვის დიდი მოტრფიალეა, შვილს ასწავლა ცურვა და ფეხებსაც თანდათან დაუბრუნდა ნორმალური მოძრაობის უნარი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კონრადსები წარმოშობით ლატვიელები არიან და დიდ ხანს ცხოვრობდნენ რიგაში.

ძნელია ახლა იმის თქმა, თუ რა შედეგებს მიაღწევენ ეს ფენომენალური ბავშვები. თუ ლოგიკურად გავყვებით მათი შედეგების პროგრესს, სპორტულმა მსოფლიომ მალე ახალი სენსაციური ცნობები უნდა მიიღოს შორეული ავსტრალიიდან.

ა. ტარასევიჩი.

სურათებზე: ჯონი (ზევით) და ილზა კონრადსები.

## ოლიმპიური სპეკულიანტი

1952 წლის ოლიმპიური თამაშების კომიტეტის თავმჯდომარე ფონ ფრენკელი და კომიტეტის წევრი გენერალ-მაიორი მარტოლა ამას წინათ გამოძახებულ იქნენ ჰელსინკის სასამართლო ორგანოებში ჩვენების მისაცემად საზღვარგარეთული ვალუტით სპეკულაციის თაობაზე.

ფინეთის ხელისუფლება სპეკულაციის ორგანიზატორად ასახელებს ვინმე ო. ნიგბერგს, რომელიც ოლიმპიური თამაშების ზოგიერთ მესვეურთან ერთად ახურდავებდა საზღვარგარეთულ ვალუტას ფინურ მარკებზე. შემდგომში ეს „ოლიმპიელი", რა თქმა უნდა, უკვალოდ მიიმალა.

ამ ხრიკების შედეგად ფინეთმა რამდენიმე ათეული მილიონი ფრანკის ზარალი განიცადა.

რედაქტორი ი. უგულავა


გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 3 89 62. პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90 34, მორიგისა და გამომშვების — 3-01 06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02423